



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
2-3 ივნისი, 2021

-

დასკვნის წარდგენის თარიღი  
23 ივნისი, 2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები Oil and Gas Technology
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიის დოქტორი Doctor of Petroleum Technology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0724 სამთო საქმე და მოპოვება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	50
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 518, 2012 წლის 28 სექტემბერი

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
--	--

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>ზურაბ მეგრელიშვილი</b> , ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>ნინო დონდოლაძე</b> , ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>გიორგი რობაქიძე</b> - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	<b>ნინო ტალიკაძე</b> , სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

### აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში - სტუ/დაწესებულება/უნივერსიტეტი) ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამებს. აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა “ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები” წარმოადგენს სწავლების მესამე საფეხურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის №733 დადგენილებით და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის № 518 გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს აკრედიტაცია. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 თებერვლის N222 განკარგულებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 1 ივლისი. შესაბამისად, პროგრამა აკრედიტებულია 2021 წლის 1 ივლისამდე.

დაწესებულებამ რამდენჯერმე განახორციელა პროგრამის მოდიფიცირება, კერძოდ, შეიცვალა საკონტაქტო საათების რაოდენობა და საგანთა კოდები, ყველა სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) კოდი, ყველა სასწავლო კურსის პროგრამაში (სილაბუსში) შეიცვალა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. ერთი კრედიტის რაოდენობა კი განისაზღვრა 25 საათით, ადრე არსებული 27 საათის ნაცვლად. გარდა აღნიშნულისა, ბოლო ცვლილებების გათვალისწინებით,

1. პროგრამას დაემატა აღწერა
2. შეიცვალა განმახორციელებელი პირები
3. შეიცვალა სასწავლო კომპონენტებში საათების განაწილება
4. შეიცვალა რიგი სასწავლო კომპონენტები
5. სილაბუსის ფორმის შეცვლასთან დაკავშირებით ყველა სილაბუსი ახალ ფორმაშია გადაყვანილი.
6. განახლდა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;

აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. ამასთან, პროგრამა მოიცავს სავალდებულო სასწავლო კომპონენტებს 50 კრედიტის ოდენობით, ხოლო დოქტორის აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა კვლევითი კომპონენტის შესრულება, კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 მაისის N MES 8 21 0000465159 ბრძანებით 2021 წლის 2-3 ივნისს განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საექსპერტო შეფასება. პროგრამის შეფასება ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით, განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად. კერძოდ, 2 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა, სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, დაათვალიერეს დაწესებულების მატერიალური რესურსი (სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ასევე ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა. 2 და 3 ივნისს შეფასება კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, კერძოდ, ონლაინ პლატფორმა - zoom-ის გამოყენებით განხორციელდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

	სტანდარტი	კომპონენტი	შეფასება	საბოლოო შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	1.1. პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

		1.2.	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	2.1.	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
		2.2.	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
		2.3.	სასწავლო კურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
		2.4.	პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
		2.5.	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
		2.6.	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	

3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	3.1.	სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია
		3.2.	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	4.1.	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
		4.2.	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
		4.3.	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
		4.4.	პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
5	სწავლების ხარისხის ნვითარების შესაძლებლობები	5.1.	შიდა ხარისხის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
		5.2.	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	

	5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
--	-----	---	---	--

▪ რეკომენდაციები

**3.1. სტანდარტთან მიმართებაში**

1. მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და მოცემული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში.

**3.2. სტანდარტთან მიმართებაში**

2. აუცილებელია, მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სადისერტაციო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში.

**4.2. სტანდარტთან მიმართებაში**

3. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული და მკაფიო მექანიზმები (შიდა მარეგულირებელი აქტებისა თუ სამოქმედო გეგმაში გაწერის გზით) პერსონალის პროფესიული განვითარებისა და შეფასების მიზნებისათვის;

4. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად.

**5.1. სტანდარტთან მიმართებაში**

5. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი შიდა აქტების შემუშავება, რათა მათ ერთგვაროვანი ხასიათი ჰქონდეს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის სწავლების ყველა საფეხურზე;

6. მუდმივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაწესებულებაში მოქმედი შიდა აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებთან, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად;
7. პროცესები მეტად ფორმალიზებული და გაწერილი უნდა იყოს, მათი სავალდებულოდ შესრულების მიზნით.

### **5.3. სტანდარტთან მიმართებაში**

8. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს;
9. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
10. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს;
11. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებელთა უფრო ინტენსიური ჩართულობა პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### **2.4. სტანდარტთან მიმართებაში**

1. სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას შეძლებისდაგვარად გამოყენებული იყოს უფრო თანამედროვე და ინგლისურენოვანი ლიტერატურა;
2. ფაკულტეტზე სადოქტორო ნაშრომების შესრულებისას გამოყენებული ლიტერატურის მითითებისა და მოყვანის წესი ერთნაირი უნდა იყოს;

### **3.2. სტანდარტთან მიმართებაში**

3. სასურველია, დეტალურად გაიწეროს დისერტაციაზე მუშაობის პროცესში თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის პროცედურები.

### **4.2. სტანდარტთან მიმართებაში:**

4. დაწესებულებამ მეტად უნდა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში უფრო აქტიური მონაწილეობა, ასევე გარდა დაწესებულების სამეცნიერო ჟურნალისა, სხვა საერთაშორისო ინდექსაციის მქონე ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება.

### **4.3. სტანდარტთან მიმართებაში**

5. მიზანშეწონილია დაწესებულებამ, სასწავლო კორპუსის შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად, ასევე უზრუნველყოს პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით, შესაბამისი რესურსების დანერგვა.



### 5.1. სტანდარტთან მიმართებაში

6. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;

7. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ.

8. მიზანშეწონილია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისმა პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;

9. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქცია.

### 5.2. სტანდარტთან მიმართებაში

10. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის.

### 5.3. სტანდარტთან მიმართებაში

11. სასურველია, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, გაზიარებულ იქნეს დამსაქმებელთა მზადყოფნა, რომ დაინტერესების შემთხვევაში, დამსაქმებლები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მოაწიონ შეხვედრებს, მსჯელობებს, საჯარო ლექციებს დასაქმების ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების, განახლებული მოთხოვნების, სწავლის სფეროს შესაბამისი ახალი ტენდენციების, სამუშაო მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების გაცნობის მიზნით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p><b>1.1 პროგრამის მიზნები</b></p>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით, კვლევის თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენების უნარებით აღჭურვილი და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ორიენტირებული მკვლევარის მომზადება: ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიებისათვის; დაძიებული სტრუქტურების ბურღვისათვის; აღმოჩენილი ბუნებრივი ნახშირწყალბადების საბადოს დამუშავებისათვის. იმავე მასალებიდან ირკვევა, რომ კურსდამთავრებულები ხელს შეუწყობენ ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სფეროში წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას, ნავთობმრეწველობის სფეროს დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ასევე ძველი და ახალი საბადოების სრულყოფილ შესწავლას, რაც იქნება ბუნებრივი ნახშირწყალბადების მოპოვების საფუძველი. კურსდამთავრებულები სრულყოფენ ნავთობმრეწველობის სტრატეგიასა და საბადოების დამუშავების მართვას. პროგრამის მიზანი შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიას „შექმნას ისეთი აკადემიური გარემო, რომელიც ინდივიდს შესაძლებლობას მისცემს ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ კადრად, აღიზარდოს დამოუკიდებელ პიროვნებად, თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვან წევრად; მაქსიმალურად შეუწყოს ხელი უნივერსიტეტის თითოეული წევრის საზოგადოებრივ და აკადემიურ თვითგანვითარებასა და თვითრეალიზებას, რაც თანამედროვე თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობაა“. უნივერსიტეტი ამ მისიის შესაბამისად მიზნად ისახავს უზრუნველყოს: აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება თავისუფალი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და, იმავდროულად შეინარჩუნოს სამეცნიერო და აკადემიური ცოდნის მნიშვნელობა და ღირებულება; მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოქნილი სისტემის დანერგვა და განვითარება; საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და მიღწევადია.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“;</li> <li>• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია; <a href="http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf">http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf</a></li> <li>• სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;</li> <li>• დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;</li> <li>• ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>

<ul style="list-style-type: none"> <li>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</li> </ul>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <li>V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul> </li> </ul>

<h3>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</h3> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და კვალიფიკაციისათვის აუცილებელი შედეგების მიღწევას.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც კურსდამთავრებული იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის მერვე დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. შეფასება საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;</p> <p>წრმოდგენილ სილაბუსში გაწერილია ყოველი სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისათვის შესაბამისი შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. მასალებზე დაყრდნობით და ვიზიტის დროს ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის პროცესში ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, რექტორის ბრძანებით შექმნილი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია, შესაბამისი აკადემიური პერსონალი. სწავლის შედეგების</p>

შეფასების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების განსაზღვრა. საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას. პროგრამის მოდიფიცირების ეტაპზე ჩატარდა 4 შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები), სადაც განხილული საკითხები აისახა კურიკულუმსა და სილაბუსებში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“;
  - სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
  - კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი;
  - სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
  - სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
  - დამსაქმებელთა გამოხმაურებები
  - დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის კვლევა
  - დეპარტამენტის სხდომის ოქმები
  - ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**  
წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**  
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**  
○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**  
○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა  
 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  
 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  
 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  
 არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან	<b>V</b>			

პროგრამის შესაბამისობა				
------------------------	--	--	--	--

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის კვალიფიკაციას ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის სფეროში. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები დაა.შ.).</p> <p>„ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც მოცემულია აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება, ასევე ინგლისური ენის ცოდნის - არანაკლებ B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ზემოხსენებული სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტი გამოცდას ინგლისურ ენაში სტუ-ს საგამოცდო ცენტრში ჩააბარებს. დოქტორანტობის კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისურენოვანი (ბაკალავრიატი ან/და მაგისტრატურა) პროგრამა გამოცდის ჩაბარება და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება.</p> <p>დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები, ასევე საგამოცდო ტესტების ნიმუშები უცხო ენებში მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.</p> <p><a href="https://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764">https://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764</a></p> <p>პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის, ასევე უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე, კანონმდებლობითა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.</p> <p>დაშვების წინაპირობები აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, დაწესებულების ვებ-გვერდის მეშვეობით.</p> <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“</li> <li>• სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)</li> </ul>
---

<ul style="list-style-type: none"> <li>• ფაკულტეტის ვებგვერდი <a href="http://gtu.ge/Mining/">http://gtu.ge/Mining/</a></li> <li>• სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები</li> <li>• ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</li> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ლისაბონის უმაღლესი ტექნიკური უნივერსიტეტისა და აბერდინის ნავთობისა და გაზის უნივერსიტეტის გამოცდილების გათვალისწინებით. ინტერვიუს შედეგების მიხედვით, სტუ-ს ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, პროგრამა დადარდა აღნიშნული ევროპული უნივერსიტეტების ვებ-გვერდებზე საჯაროდ განთავსებულ პროგრამებს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში.</p> <p>პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და მოიცავს სასწავლო (50 კრედიტი) და კვლევით კომპონენტს.</p>
---

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ სწავლებას, რაც დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში უწყობს ხელს და ამასთან ამზადებს მას პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აზარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს დოქტორანტს, რომელმაც სემესტრის განმავლობაში მიმდინარე აქტივობისა და შუასემესტრული გამოცდის ქულათა საერთო ჯამით დააგროვა მინიმუმ 30 ქულა. სასწავლო კომპონენტი ჩაბარებულად ითვლება, თუ დოქტორანტმა საბოლოო ჯამში დაიმსახურა 51 ქულა. XVII კვირა ეთმობა დოკუმენტური მასალის ჩაბარებას და გამოცდისათვის მზადებას, ხოლო XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შემდეგ მინიმუმ 5 დღიანი შუალედით.

პირველი სემესტრში მოცემულია სასწავლო კომპონენტების ხუთ სავალდებულო სასწავლო კურსი (30 კრედიტი). ხოლო მეორე სემესტრში კი ერთი სასწავლო-სავალდებულო (5 კრედიტი), ერთ სასწავლო-არჩევითი კურსებს (5 კრედიტი), აგრეთვე პროფესორის ასისტენტობას (10 კრედიტი). მეორე და შემდგომი სემესტრებში გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტების შესრულება, რომელშიც შედის კვლევის პროექტის/პროსპექტის, კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი - 2, კოლოკვიუმი - 3, წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ს ვებგვერდზე:

როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებიდან ირკვევა, პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადებასა და მოდიფიცირებაში ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები) იყო ჩართული. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა განთავსებულია ფაკულტეტის ვებგვერდზე, შესაბამისად, ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი”
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>V</b> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.3. სასწავლო კურსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</li> <li>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.</p> <p>ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსში წარმოდგენილი სასწავლო მასალების უმეტესი ნაწილი წარმოადგენს 2005-2020 წლებში გამოცემულ ლიტერატურას, დამხმარე სახელმძღვანელოებს და სალექციო კურსებს. თუმცა შეინიშნება უფრო ადრინდელი გამოცემული ლიტერატურაც. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსებში საკმოდ უხვადაა წარმოდგენილი უცხოენოვანი ლიტერატურა, სადაც აღნიშნული დარგის კვლევისა და ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებების თანამედროვე მეთოდებია განხილული. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება დოქტორანტურის დონეს და მათგან გამომდინარეობს პროგრამის სწავლის შედეგები, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>● სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)</li> <li>● დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის“</li> </ul>



<p>ტექნოლოგიები“</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიბლიოთეკის კატალოგი <a href="http://gtu.ge/Library/">http://gtu.ge/Library/</a></li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი</li> <li>• საგნის/საგნების მითითებით</li> <li>• სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში</li> <li>• სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები</li> <li>• სექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</li> <li><input type="checkbox"/> V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს დოქტორანტთა მოღვაწეობის პრაქტიკული უნარის განვითარებას და მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას. ამ მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია სასწავლო კურსი “პროფესორის ასისტენტობა”.</p> <p>სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პერიოდში, დებულების თანახმად, დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი, სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია (დადგენილი წესის შესაბამისად); ასევე მონაწილეობის მიღება სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებში მინიმუმ ერთი მოხსენებით მაინც.</p>

დოქტორანტის დისერტაციაზე მუშაობის პროცესს ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც დოქტორანტს პროფესიული საკვლევი მასალის ფორმირებასა და განვითარებაში, სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გაღრმავებაში ეხმარება და მის საქმიანობას აფასებს.

დოქტორანტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლების და აკადემიური პერსონალისგან. ასევე მოწოდებული მასალებზე (ორი სადოქტორო ნაშრომი) დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სადოქტორო ნაშრომების შესრულებისას უცხოენოვანი (ინგლისურენოვანი) ლიტერატურა მწირადაა გამოყენებული. ამასთან სადოქტორო ნაშრომებში (დაცული 2015 და 2017 წლებში), ჩამონათვალის მიხედვით გამოყენებული ლიტერატურა, ტექსტში არ არის მითითებული. კერძოდ, არ ჩანს ჩამოთვლითაგან რომელია განხილული კონკრეტულ თავში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განიმარტა, რომ 2017 წლიდან უნივერსიტეტში მოხდა პლაგიატის პროგრამის დანერგვა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში შესრულებულ კვლევით კომპონენტებში (არამხოლოდ სტუდენტთა, არამედ აკადემიური პერსონალის მიერ) პლაგიატის გადამოწმება, ასევე გამკაცრდა მოთხოვნები ნაშრომთა შესრულების აკადემიური დონის მიმართ. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია სასწავლო კომპონენტი სამეცნიერო კომუნიკაცია, რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას გაიღრმავოს ცოდან აღნიშნული საკითხების თაობაზე, კვლევითი კომპონენტის შესრულების მიზნებისათვის.

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომლებიც სტუდენტს საშუალებას მისცემს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს. შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სოციალური დახმარება, დასვენების სერვისები და სხვა).

ასევე ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას შეძლებისდაგვარად გამოყენებული იყოს უფრო თანამედროვე და ინგლისურენოვანი ლიტერატურა;
- ფაკულტეტზე სადოქტორო ნაშრომების შესრულებისას გამოყენებული ლიტერატურის მითითებისა და მოყვანის წესი ერთნაირი უნდა იყოს;

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>V</b> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა - სწავლების მეთოდებს. არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში (Brain storming), ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დემონსტრირება, თანამშრომლობითი სწავლება, ჯგუფური მუშაობა, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>● სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)</li> <li>● დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“</li> <li>● სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები</li> <li>● სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები <a href="https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aktivobebi%20(1).pdf">https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aktivobebi%20(1).pdf</a>.</li> <li>● აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</li> <li><b>V</b> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<b>2.6. სტუდენტების შეფასება</b>
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b> საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ცოდნის შეფასების სისტემა გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის. ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტის შეფასება ხდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ. სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისაგან და საგნის პედაგოგისგან, ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით. მიღებული შეფასებების გაცნობის საშუალება სტუდენტს აქვს სტუ-ს ვებგვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის საშუალებით. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მიღებული შეფასება გაასაჩივრონ, დაწესებულების მიერ დადგენილი წესით (სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია). პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის პერიოდულად უზრუნველყოფილია სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობა.
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>● სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)</li> <li>● დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“</li> <li>● სტუდენტების გამოკითხვის შედეგები</li> <li>● სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა <a href="https://leqtori.gtu.ge/">https://leqtori.gtu.ge/</a></li> <li>● ფაკულტეტის ვებგვერდი <a href="https://gtu.ge/Mining/">https://gtu.ge/Mining/</a></li> <li>● აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ</li> </ul>

<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>V</b> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<b>V</b>			

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების საკითხებზე ძირითადად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. მაგალითად, აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, პედაგოგების ცხრილი და სხვ. მნიშვნელოვანი ინფორმაცია) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მათ პირად გვერდზე (იგივე, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა, იხ. ბმული: [https://leqtori.gtu.ge/2020\\_2021/II/B/info](https://leqtori.gtu.ge/2020_2021/II/B/info)). უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს GTU-tables ანუ, ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტები პოტენციური დამსაქმებლებისა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას იღებენ შესაბამისი ფაკულტეტის ვებ-გვერდის სიახლეებიდან ან/და უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისგან, პროგრამის განმახორციელებლებისგან. პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ისინი არიან პროფილით დასაქმებულები.

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრის დროს დაადასტურეს, რომ მათი შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც. ზოგადად, ყოველი სემესტრის დასაწყისში დგინდება ოფიციალური საკონსულტაციო განრიგი, რომელიც შემდგომ ქვეყნდება [მატერიალურად] ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები ადასტურებენ, რომ ისინი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებითაც კი. ამასთან, მიმდინარე პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი ონლაინ კონსულტაცია. თუმცა, არც სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის გვერდზე „სასწავლო ცხრილებში“ და არც სხვაგან არ ფიქსირდება შესაბამისი საკონსულტაციო განრიგი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიციით, მიმდინარე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო, სტუდენტებს აქვთ პირადი ონლაინ კონსულტაციების შესაძლებლობა უშუალოდ

ლექტორებთან, რაც დაადასტურა როგორც აკადემიურმა, ისე მოწვეულმა პერსონალმა. შესაბამისად, მოცემული განრიგი აღებულია საიტიდან.

სტუდენტები ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების (იხ. ბმულები: <https://gtu.ge/erasmus+.php> და <https://gtu.ge/Suss/>, <https://gtu.ge/Science/Conference/> ) და სხვ. შესახებ იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან და ადმინისტრაციისგან. ზოგადად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელია 7 ერთეული. სტუდენტებთან და კურდამთავრებულებთან საუბრის დროს რამდენიმე მათგანმა დაადასტურა ზემოთ აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილეობის მიღებაც [შესაბამისი საკვლევი თემის მითითებით]. ამასთან, დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს მინიმუმ სამ სტატია. სტუ-ში ფუნქციონირებს ორი რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი: სამეცნიერო, საინჟინრო, საინფორმაციო, ანალიზური, რეფერირებადი ჟურნალი "სამთო ჟურნალი" და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური, საინფორმაციო-ანალიზური რეფერირებული ჟურნალი "საქართველოს ნავთობი და გაზი". აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ უზრუნველყოფილი იქნება დოქტორანტების ჩართულობა სამეცნიერო სფეროშიც. თუმცა, იგივე აქტივობა სტუდენტების მხრიდან არ ფიქსირდება გაცვლითი პროგრამების მიმართ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ამ კუთხით დაგეგმილი აქვს გარკვეული შეხვედრების ციკლი ფაკულტეტის სტუდენტებსა და სტუ-ს საერთაშორისო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და ERASMUS + პროგრამის კოორდინატორთან საქართველოში, ასევე, დაგეგმილია ახალი მემორანდუმების გაფორმება ამ კუთხით.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება ისიც, რომ უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, სასწავლო კურსების შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი გამოკითხვის შედეგებიც. თუმცა, სტუდენტებს ნაკლებად ჰქონდათ ინფორმაცია ამ შედეგების გამოყენების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

<ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;</li> <li>• უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, იხ. ბმული: <a href="https://gtu.ge">https://gtu.ge</a></li> <li>• სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა, იხ. ბმული: <a href="https://leqtori.gtu.ge/2020_2021/II/B/info">https://leqtori.gtu.ge/2020_2021/II/B/info</a>;</li> <li>• უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;</li> <li>• სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;</li> <li>• აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიზანშეწონილია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა გააძლიეროს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი და მოცემული პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ან/და ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><b>V</b> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი



### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი (მათ შორის მოწვეული), ემერიტუსი, აგრეთვე სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

დოქტორანტების ხელმძღვანელები არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რაც დასტურდება პერსონალის CV-ებით, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებით საერთაშორისოდ აღიარებულ ჟურნალებში, სხვადასხვა ადგილობრივ და უცხოურ კონფერენციაში მონაწილეობით. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობა არის 4/5 -თან, ანუ 0.8. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თქმით, როგორც წესი, დოქტორანტს ენიშნება ერთი ინდივიდუალური ხელმძღვანელი, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, ასევე, შესაძლებელია თანახელმძღვანელის დანიშვნაც, რომელსაც საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება ექნება. ამასთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების თანახმად პროფესორი, როგორც წესი, ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს 4 (ოთხი) დოქტორანტის ხელმძღვანელი, მათ შორის, არაუმეტეს 2 დოქტორანტისა სწავლების ერთ წელზე. შესაბამისად, აღნიშნული თანაფარდობა შეიძლება მივიჩნიოთ ნორმის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში სადისერტაციო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის და სხვა პროცედურები გაწერილია სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებში, ამ დოკუმენტში ვხვდებით სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში (იგულისხმ. დოქტორანტურის დებულება) ვკითხულობთ, რომ „სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელები დამტკიცებიდან ორი კვირის განმავლობაში დეკანატში წარადგენენ დოქტორანტის პერსონალურ სამუშაო გეგმას (დანართი 1)“. შემდეგ კი მე-10 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების საფუძველზე ვიღებთ შემდეგ ინფორმაციას, რომ დოქტორანტი სწავლების პირველ წელს ხელმძღვანელთან ერთად ადგენს სადისერტაციო კვლევის პროექტის - დეტალურ გეგმას (დასამუშავებელი საკითხების ჩამონათვალი: შესავალი, სამეცნიერო სიახლე, აქტუალობა, მიზნები და თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობა). ხოლო დოქტორანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება (პროსპექტუსი 1,2; კოლოკვიუმი 1,2,3, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა) სასწავლო კურსების ანალოგიურად, როგორც წესი, კომპონენტის დასრულების შემდეგ დასტურდება სადისერტაციო თემის ხელმძღვანელის მიერ.

სადისერტაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ შეთავაზებული თემის სავარაუდო დასახელებებიდან და პოტენციურ სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით. ხელმძღვანელის გამოყოფის დროს ხდება პერსონალის კვალიფიკაციის და საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გათვალისწინება. სადისერტაციო საბჭო, სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრიდან აკადემიური დეპარტამენტის რეკომენდაციით, იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ.

გასაუბრებისას დოქტორანტების ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ დოქტორანტებს კონსულტირებას უწევენ კვლევით პროცესში სხვადასხვა საკითხთან (კვლევის პროექტის სტრუქტურის ჩამოყალიბება, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების კონტროლი, დახმარება ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღებასა და სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებაში) დაკავშირებით.

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აღნიშნავს, რომ კონსულტაციების სიხშირე დამოკიდებულია კვლევისთვის შერჩეული თემის სპეციფიკაზე, მაგრამ არანაკლებ კვირაში ერთხელ. თუმცა, დოკუმენტურად რაიმე კონკრეტული საკონსულტაციო განრიგის არსებობა არ დასტურდება. კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობდა, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან დოქტორანტებს და უბრუნებენ უკუკავშირს. თუმცა, სადისერტაციო ნაშრომზე ხელმძღვანელთან ურთიერთობის აღმწერი დეტალური დოკუმენტი არ მოიპოვება. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, დისერტაციების გადახედვის დროს დადგინდა რიგი უზუსტობები, რომელიც ეხებოდა ტექნიკური მოთხოვნების შეუსრულებლობას, წყაროების დამოწმების აკადემიური ნორმების დარღვევას, შესაბამისი სამეცნიერო ღირებულების ან/და უახლესი ლიტერატურის გამოყენების სიმცირეს.

ინტერვიუების დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა (Strikeplagiarism.com), რომელიც გამოიყენება ნაშრომების შემოწმებისას და დაწესებულებაში დანერგილია 2017 წლიდან. თუმცა ვიზიტის დროს არ მოგვეცა შესაძლებლობა ახლოდან გავცნობოდით მის მუშაობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- დაცული დისერტაციები;
- სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

- აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების, ინტელექტუალური საკუთრებისა და მისი დაცვის მექანიზმთა მიმართ, სადისერტაციო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, დეტალურად გაიწეროს დისერტაციაზე მუშაობის პროცესში თემის ხელმძღვანელთან ურთიერთობის პროცედურები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		<b>V</b>		

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები“ ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

სტუ-ში აკადემიური პერსონალი შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. ამასთან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამუშაოს აღწერილობების, ფუნქციებისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება. ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

ინტერვიუს შედეგების თანახმად, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც განსაზღვრულია დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასევე მისი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება აღნიშნული ხელშეკრულებით, დამსაქმებლის წესდებით, ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციებითა და დამსაქმებლის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

აკრედიტაციის ვიზიტისას ინტერვიუებით გაირკვა, რომ აკადემიურ პერსონალს გააფორმებული აქვს სტუ-სთან აფილირების ხელშეკრულება, სტუ-ში აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, ასევე აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებები და მოვალეობები რეგულირდება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“-ს მიხედვით, თუმცა აღნიშნული წესი დაწესებულების მიერ სააკრედიტაციო განაცხადზე თანდართულ დოკუმენტებს შორის წარმოდგენილი არ ყოფილა. აღნიშნული წესი ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის ეტაპზე.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან შედგება. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და სტუ-ის შიდა რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებთან. როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, რის დადასტურდებადამოკლებს მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები: მონოგრაფიები, რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები. ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებსა და ფორუმებში მონაწილეობა.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. პროგრამას ახორციელებს 9 აკადემიური პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ასევე ჩართულია საკონსულტაციო და პროგრამის განმავითარებელ პროცესში.

აკადემიური პერსონალიდან 4 პროფესორია, 5 ასოცირებული პროფესორი, აღნიშნული აკადემიური პერსონალიდან ყველა აფილირებულია.

მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით;

სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს აქვს მიღებული მონაწილეობა სამეცნიერო კვლევების

გამოცდილება და მათი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, შესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას და მიმართულებას.

როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული და ინტერვიუს დროს პერსონალმაც დაადასტურა პროგრამას აქვს განმახორციელებელი პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს შესაბამის დატვირთვას მათზე დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ასევე ჩართულია საკონსულტაციო და პროგრამის განმავითარებელ პროცესში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. წლების განმავლობაში მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, არის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. არის მრავალი სტატიის ავტორი. მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

პროგრამის ხელმძღვანელს გარდა აკადემიური გამოცდილებისა (27 წელი) აქვს დიდი პრაქტიკული და სამეცნიერო გამოცდილება, როგორც საზღვარგარეთ, ისე საქართველოში არსებულ ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავებაში.

წინამდებარე ქვესტანდარტის შეფასება შესაძლებელი გახდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მეშვეობით მხოლოდ ნაწილობრივ, მეტწილად კი ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით. სასურველი იქნებოდა, რომ დოკუმენტაცია, რომელიც მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში, ქვესტანდარტის აღწერის ნაწილში, სრულყოფილად ყოფილიყო წარმოდგენილი დაწესებულების მიერ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, უნივერსიტეტში პარალელურ რეჟიმში მიმდინარე რეორგანიზაციის ფარგლებში, ეტაპობრივად ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებელი აქტების განახლებისა თუ შემუშავების მიზნით მუშაობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუ-ს წესდება
- ბრძანება # 136 სტუ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე (04.07.2017) <http://gtu.ge/pdf/brdzanebebi/brzz.136.PDF>;
- კონკურსის ვადები და ჩატარების პირობები [http://gtu.ge/pdf/kon/konkursi\\_2017/konkursi\\_2017\\_1.pdf](http://gtu.ge/pdf/kon/konkursi_2017/konkursi_2017_1.pdf);
- პერსონალის პირად საქმეში არსებული CV -ბი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამეცნიერო სტატიების ჩამონათვალი, მეცნიერული მიღწევები
- ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის ანალიზი
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**V** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების კვლევას. ანალიზებს და აქტიურად იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის;

როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შექმნილია პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის; შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისას.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშესაწყობად შექმნილია აუცილებელი მატერიალური ბაზა - სტუ-ს და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა.

თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე სისტემატურად ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2000 წლიდან გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო - ტექნიკური, საინფორმაციო-ანალიზური, რეფერირებული ჟურნალი „საქართველოს ნავთობი და გაზი“, ხოლო 1998 წლიდან სამეცნიერო, საინჟინრო, საინფორმაციო, ანალიზური, რეფერირებადი „სამთო ჟურნალი“ რომლებშიც რეგულარულად იბეჭდება როგორც ფაკულტეტის თანამშრომლების, ასევე დარგის ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების სტატიები.

ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის ეფექტიანობას აფასებს ფაკულტეტის საერთო მიღწევები და პოტენციურ სტუდენტთა აქტიურობის მაჩვენებლები.

სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობები

გამომდინარეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვისათვის განსაზღვრული წესებიდან, რომელიც მოიცავს სამართლიანი და ეფექტიანი დასაქმების პოლიტიკის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას, თანამშრომელთა შეფასებას და მათი პროფესიული განვითარებისა და გადამზადების პროცესებს.

აღნიშნული პროცესები მოიცავს:

1. ადამიანური რესურსის პროფესიული საქმიანობის შეფასება;
2. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების სტიმულირება;
3. სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების შედეგების შეფასება და ანალიზი

თუმცა როგორც ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, პერსონალის განვითარებაში ნაკლებად არის უზრუნველყოფილი ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განხორციელება. გამოითქვა მზაობა, რომ შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, პერსონალი მზადაა მონაწილეობა მიიღოს უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სემინარებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის განმახორციელებელი პირების CV, სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი, დიპლომები, სერტიფიკატები
- „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ - სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის № 4501 / დადგენილება <http://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf>
- აკადემიური პერსონალის სერტიფიკატები
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**

1. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული და მკაფიო მექანიზმები (შიდა მარეგულირებელი აქტებისა თუ სამოქმედო გეგმაში გაწერის გზით) პერსონალის პროფესიული განვითარებისა და შეფასების მიზნებისათვის;
2. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის განვითარების მიზნებისათვის მათი მონაწილეობა უცხოელი სპეციალისტების მიერ განხორციელებულ ლექცია-სემინარებსა თუ ტრენინგებში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც პროფესიაში ახალი ტენდენციების, ისე სწავლა-სწავლების მეთოდების გაცნობის უზრუნველსაყოფად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

დაწესებულებამ მეტად უნდა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ხელშეწყობა, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში უფრო აქტიური მონაწილეობა, ასევე გარდა დაწესებულების სამეცნიერო ჟურნალისა, სხვა საერთაშორისო ინდექსაციის მქონე ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**



- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
  - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.3 მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებს ემსახურება ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, როგორც მისი ფილიალი. ცენტრალური ბიბლიოთეკაში მათ შეუძლიათ ისარგებლონ სამკითხველო დარბაზის, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის, საინფორმაციო ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეებით. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით უზრუნველყოფილი ოთხი დარბაზით: 1. პრესისა და ინფორმაციის დარბაზი (მკითხველს შეუძლია გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო, მხატვრულ და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს.); 2. წიგნებისა და ჟურნალების ელექტრონული ვერსიების დარბაზი (წიგნადი და საჟურნალო ფონდის ელექტრონული ვერსიების გაცნობა-გამოყენება; ინტერნეტ საიტებით სასწავლო სამეცნიერო და საინფორმაციო მასალების მოძიება; ბიბლიოთეკათაშორისო შეთანხმების საფუძველზე სხვადასხვა უმაღლესი სკოლების ელექტრონული კატალოგების გაცნობა; საერთაშორისო ონლაინ მონაცემთა ბაზებით სარგებლობა; სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვება); 3. ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი; 4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი; ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული ყველა ძირითადი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება საინტერნეტო წვდომა „Wi-Fi“. აგრეთვე მომხმარებელს აქვს პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობა.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს

მათ გაეცნონ შესაბამისი სფეროს უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;

პროგრამის ეფექტიან განხორციელებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, უწყვეტი ელექტროენერგია, გათბობის სისტემა, სველი წერტილები და სამედიცინო ცენტრი, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის;

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია მე-3 სასწავლო კორპუსი, რომელიც უზრუნველყოფილია კომფორტული აუდიტორიებით. „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ დეპარტამენტში არსებობს ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ფიზიკურ-ქიმიური კვლევის ლაბორატორია და საბურღი ხსნარების ლაბორატორია. ლაბორატორიები აღჭურვილია ხელსაწყოდანიადგარებით, რომლებიც გამოიყენება ნახშირწყალბადების ფიზიკურ-ქიმიური კვლევისათვის, საბურღი ხსნარის პარამეტრების განსაზღვრისათვის. გარდა ამისა, აქვია საბურღი დანიადგარის მაკეტი, ქანმომხგრევი იარაღები, ავარიის საწინააღმდეგო ხელსაწყოები, ფენის გამომცდელი – „პაკერი“, პნევმოსაბურღავი ჯალამბრისათვის, მილების გადამყვანი მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის;

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

ამასთან, ადგილზე დათვალიერებისა და შემდგომ ინტერვიუს შედეგებითაც გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო მიზნების განხორციელებას და სტუდენტებისათვის შესაბამისი ცოდნის მიწოდებას, თუმცა საჭიროებს განახლებას, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით.

გარდა აღნიშნულისა, როგორც ფაკულტეტისა და ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, უნივერსიტეტის ასი წლისთავის ღონისძიებასთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში იგეგმება იმ სასწავლო კორპუსის მთლიანად რეაბილიტაცია და განახლება, სადაც ხორციელდება ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამა, რისთვისაც დაწესებულების ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების თაობაზე მუშაობა მიმდინარეობს ამჟამად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები)
- სტუ-ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი <http://opac.gtu.ge/>
- სტუ-ს ბიბლიოთეკის ვებგვერდი <http://www.gtu.ge/Library/>;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ .

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მიზანშეწონილია დაწესებულებამ, სასწავლო კორპუსის შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან ერთად, ასევე უზრუნველყოს პროგრამის მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის განახლება, ასევე სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით, შესაბამისი რესურსების დანერგვა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება განხორციელდება ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ფინანსები პროგრამებისათვის განსაზღვრულია ფაკულტეტის ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. „ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურის მიერ და იანგარიშება პროგრამის სასწავლო კომპონენტების და პრაქტიკის მიხედვით. პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია: აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის სახელფასო სარგო და სამტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობა; წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი (დენი, წყალი, გაზი, ინტერნეტი, კავშირგაბმულობა, ფოსტა, განვითარების ფონდი, ადმინისტრაცია, პრემია, დანამატი).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- პროგრამის ბიუჯეტი
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><b>V</b> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<b>V</b>			

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<p><b>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</b></p> <p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების, ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე</p>

განხორციელდა დაწესებულებაში არსებული ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმების შეფასება.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელება უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა აქტების მეშვეობით:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 17 იანვრის N01-06-02/05 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის N01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 „სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“;
6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება № 450<sup>1</sup> „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ“;
7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 2627 „სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“
8. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილება № 01-05-04/346 „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ.“

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების ნაწილი თან ახლავს თვითშეფასების ანგარიშს დანართის სახით, ხოლო ნაწილი მათგანი განთავსებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებ-გვერდზე, რომლის ლინკი ასევე მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში.

როგორც ზემოთ ხსენებული აქტების ანალიზი ცხადყოფს, მათი ნაწილი სტრუქტურულად გამართული, კანონმდებლობისა და თანამედროვე მიდგომების შესაბამისია, რომელიც აწესრიგებს ხარისხის სამსახურის საქმიანობის ამა თუ იმ მიმართულებას დეტალურად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება შედგება შვიდი მუხლისგან, რომლებიც აწესრიგებს შემდეგ საკითხებს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები, სამსახურის მიზანი, ძირითადი ამოცანები, სტრუქტურა, სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, სამსახურის სტატუსი და მართვა, დებულების მოქმედებასთან დაკავშირებული დასკვნითი ნორმები. დოკუმენტის ამგვარი სტრუქტურული წყობა აქტს წასაკითხად და აღსაქმელად

მკაფიოსა და ზუსტს ხდის, საიდანაც კონკრეტულად დგინდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებაში აღნიშნული სამსახურის უფლებები და ვალდებულებები.

იგივენაირად შეიძლება შეფასდეს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რომელიც აწესრიგებს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, პროგრამის შემუშავების (სტრუქტურა, შინაარსი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კრედიტების რაოდენობა, სწავლების ენა, დაშვების წინაპირობა, პროგრამის აღწერა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, დასაქმების სფერო, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსი, სილაბუსების შემუშავება), საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მისი შემდგომი შეფასებისა და განვითარების წესს, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებულ საკითხებს. აქტის სტრუქტურა და დარეგულირებული საკითხები მკითხველს მკაფიო წარმოდგენას უქმნის დაწესებულებაში პროგრამის დაგეგმვისა და მისი შემდგომი განხორციელების პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ აქტი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტია უნივერსიტეტში, წარმოადგენს საკმაოდ მოცულობით და მრავალფეროვან დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირების PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე) ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით. გარდა აღნიშნულისა, დოკუმენტი ადგენს ხარისხის უზრუნველყოფისათვის საჭირო მრავალფეროვან მექანიზმებს, როგორცაა პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის საჭირო პროცედურები, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესი, სტუდენტთა მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება, მათი უზრუნველყოფა შესაბამისი რესურსებით (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური და ტექნიკური), სტუდენტების უზრუნველყოფა მუდმივად განახლებადი ინფორმაციით, ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მუდმივი მონიტორინგი და საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმი, ცალ-ცალკე წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ უზრუნველსაყოფი მოცულობითი პროცესის საფუძველს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, თითოეული მათგანის განხორციელების პროცესი მოწესრიგებული იყოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა აქტებით, საიდანაც მკაფიოდ გამოიკვეთება ამ პროცესის დაგეგმვაზე, განხორციელებაზე, საბოლოო შედეგების/დასკვნის დადებასა და აღნიშნული შედეგების უნივერსიტეტის შემდგომ საქმიანობაში იმპლემენტაციაზე/გათვალისწინებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები, მათი უფლებებითა და მოვალეობებით.

აღსანიშნავია, რომ ამ პროცესების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას შემუშავებული აქვს რიგი აქტებისა, თუმცა ისინი საჭიროებენ დახვეწასა და განვითარებას. მაგალითისთვის, უნივერსიტეტში მოქმედებს რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“, რომლითაც დამტკიცებულია ერთის მხრივ, კომისიათა შემადგენლობები, ხოლო მეორეს მხრივ, ამ კომისიების რეგლამენტი. აღნიშნული რეგლამენტის თანახმად, „კომისიის

მიზანია ფაკულტეტის მიერ წარდგენილი და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის პერიოდული შეფასება. შეფასების პერიოდულობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.“ მიზანშეწონილია, რომ რეგლამენტი უფრო მკაფიოდ ადგენდეს კომისიის უფლებებსა და მოვალეობებს, მისი ფორმირებისა და შემდგომი მუშაობის პროცესს, ზუსტად იყოს განსაზღვრული რას ნიშნავს „პერიოდული შეფასება“ და მისი განსაზღვრა დამოკიდებული იყოს არა კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის სუბიექტურ გადაწყვეტილებაზე, არამედ ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი, ამ შეფასების შედეგების შემდგომი გათვალისწინების ვალდებულებით შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ არც „პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ აწესრიგებს ამ კონკრეტულ საკითხს.

დაწესებულებაში ასევე მოქმედებს აქტი სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ. აღნიშნული აქტის პირველი პუნქტის თანახმად, „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს მეცადინეობების ჩატარების ხარისხის პერიოდული შეფასება მეცადინეობებზე სპეციალური კომისიის დასწრებით“, ხოლო მეორე პუნქტის თანახმად, „მეცადინეობის წამყვანი პედაგოგის შეფასება განხორციელდეს შეთანხმებული კითხვარის საშუალებით.“ პროცესის გამჭვირვალედ და ობიექტურად წარმართვისათვის, საჭიროა დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს დოკუმენტი, რომლითაც ზუსტად იქნება გაწერილი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების შეფასების პროცესი, მექანიზმები, კრიტერიუმები, პერიოდულობა, ამ შეფასების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები, შეფასების მონაწილენი, გამოვლენილ შედეგებზე რეაგირების პროცესი და ა.შ. გარდა ზემოხსენებულისა, ასევე გასათვალისწინებელია სტუდენტთა ჩართულობა პროგრამების განხორციელების პროცესში, მათი ინფორმაციული უზრუნველყოფა. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უფრო მეტად უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განვითარებაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა და მეტად მოახდინოს ელექტრონული და პროგრამული რესურსების იმგვარი განვითარება, რაც საშუალებას მისცემს როგორც სტუდენტებს, ისე თავად უნივერსიტეტის პერსონალს, მენეჯმენტის ყველა დონეზე, რომ უზრუნველყონ შეფასების პროცესებში მონაწილეობა, ასევე საჭირო ინფორმაციის მიღება. აღნიშნული ასევე გულისხმობს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კატეგორიაში შემავალი პირების რაც შეიძლება ფართო კონტიგენტის ჩართულობის უზრუნველყოფას (და არა მხოლოდ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პირთა გამოკითხვას) შესაბამის პროცესებში, ობიექტური და სრულყოფილი შედეგების მისაღებად.

ამასთან, აუცილებელია, მოწესრიგებული იყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის პერიოდულობასთან, ამ კვლევის პროცესსა და მისი შედეგების გათვალისწინებასთან დაკავშირებული საკითხები იმგვარად, რომ მას შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს და არ იყოს მისი განხორციელება ყოველ ჯერზე კონკრეტული სუბიექტების მოსაზრებებზე დამოკიდებული. დაწესებულებაში სასურველია არსებობდეს ერთიანი ფორმა ამ კვლევების განხორციელებისათვის, რაც გულისხმობს დამტკიცებული კითხვარების, ოქმებისა თუ სხვა დოკუმენტის არსებობას, რომელიც ყოველ

ჯერზე იქნება გამოყენებული კვლევის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ, ან გაწერილი იყოს პროცესი, როგორ ხდება ამ კითხვარების შემუშავება ყოველი კვლევის წინ, ვინ შეიმუშავებს და როგორ მტკიცდება საბოლოო ფორმა. აღნიშნული კვლევები კირეკომენდირებულია მოიცავდეს არამხოლოდ სასწავლო კომპონენტებისა თუ პროფესორ-მასწავლებლების შეფასებას, არამედ ისეთ საკითხებსაც, როგორცაა საუნივერსიტეტო ცხოვრება, ადმინისტრაციის (როგორც ცენტრალური, ისე საფაკულტეტო) მუშაობას და ა.შ. მნიშვნელოვანია, მკაფიოდ იყოს გაწერილი შესაბამისი მარეგულირებელი აქტით, როგორ ხდება ამა თუ იმ კვლევის შედეგების გათვალისწინება პროგრამისა თუ დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნებისათვის.

როგორც დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ისინი ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში და მიიღეს მონაწილეობა სააკრედიტაციოდ მის მოდიფიცირებაში. თუმცა მიზანშეწონილია, რომ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია და მათი პროგრამაში ჩართულობა უზრუნველყოფილი იყოს არამხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისათვის თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის პროცესში, არამედ დადგენილი პერიოდულობით ეძლეოდეთ საშუალება გადახედონ პროგრამის კურიკულუმს და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, უზრუნველყონ რეკომენდაციების მიცემა დაწესებულებისათვის. დამსაქმებლებთან ურთიერთობების ეს და სხვა დეტალებიც მოწესრიგებული უნდა იყოს შესაბამისი შიდა აქტით, რომელიც საერთო იქნება უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ყველა პროგრამის მიზნებისათვის.

თვითშეფასების მიხედვით, დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, ასევე აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია. მითითებული აქტებით რეგულირებულია უსდ-სთან პერსონალის აფილირების პირობები და შემდგომში როგორც მათი, ისე მოწვეული ლექტორების დატვირთვის გაანგარიშების წესი. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი არ ყოფილა. აქვე უნდა აღინიშნოს, ინტერვიუს დროს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა განცხადება, რომლის თანახმად, უნივერსიტეტში ამ დროისათვის მიმდინარეობს ხარისხის სამსახურის რეორგანიზაცია და დაგეგმილია ცვლილებები აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ინტერვიუერთა განცხადებით, ხარისხის გაზიარებული კულტურა იგივე დარჩა, თუმცა ძირეული ცვლილებები განხორციელდა მიდგომებში: პროგრამის ხელმძღვანელი გახდა ძირითადი წამყვანი ფიგურა, მის გარშემო მოხდა პროგრამის განმახორციელებელი მთელი რესურსების გაერთიანება; საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა მიმართულებით.

დაწესებულების მიერ შეიკრიბა და გაანალიზდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებული გარე შეფასებები, თუმცა ანალიზმა არ მისცა შესაძლებლობა დაწესებულებას, გამოკვეთილიყო კონკრეტული რეკომენდაციები, დახარისხებულიყო და ერთგვაროვანი მიმართულება აეღო უნივერსიტეტს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სტუ-ს მიერ სსიპ - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრს ეთხოვა, უშუალოდ ტექნიკურ უნივერსიტეტთან დაკავშირებული შემთხვევების განხილვა, მათი პრაქტიკის მიხედვით და აღნიშნულის თაობაზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის



ხელმძღვანელებისათვის ვორქშოფის ჩატარება, რაც განხორციელდა კიდევ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა ფორმები, როგორც უნდა ყოფილიყო აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე შეპასუხება, არგუმენტაციის სტილი, ხარისხის უზრუნველყოფაში ჩართო უნივერსიტეტის ყველა ის თანამშრომელი, რომელსაც ამის გამოცდილება ჰქონდათ (მაგალითად, არიან აკრედიტაციის ექსპერტები). ამასთან, დაწესებულებამ პლაგიატის პროგრამა დანერგა 2017 წელს და შესაბამისად, გამკაცრდა მოთხოვნები დაწესებულებაში განხორციელებული კვლევითი კომპონენტების მიმართ. ამჟამად, უნივერსიტეტში მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტური ნაწილის განახლებაზე, რათა შეიქმნას ხარისხის ერთიანი მიდგომა, კრიტერიუმები, შეფასების მექანიზმები, შეიქმნას პერსონალის შეფასების სისტემები, კრიტერიუმები, დადგინდეს კონკურსის ახალი პირობები. ამასთან, როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, იგეგმება ყველა მოქმედი დოკუმენტის რევიზია და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე ახალი დოკუმენტების შემუშავება, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით.

ამასთან, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რიგი საკითხების დროებით მოწესრიგების მიზნით, ერთიანი მარეგულირებელი შიდა აქტის შექმნამდე, გამოიცა რექტორის ბრძანება. თუმცა აღნიშნული ბრძანება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 17 იანვრის N01-06-02/05 დადგენილებით დამტკიცებული „**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება**“;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის N01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები**“;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება „**საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ**“;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული „**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი**“;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 „**სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ**“;
6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება № 4501 „**სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ**“;
7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 2627 „**სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ**“

8. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილება № 01-05-04/346 „სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ.“
9. აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის N01-05-04/152 დადგენილება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის შესახებ“
10. სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები;
11. სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

1. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი შიდა აქტების შემუშავება, რათა მათ ერთგვაროვანი ხასიათი ჰქონდეს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის სწავლების ყველა საფეხურზე;
2. მუდმივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაწესებულებაში მოქმედი შიდა აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებთან, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად;
3. პროცესები მეტად ფორმალიზებული და გაწერილი უნდა იყოს, მათი სავალდებულოდ შესრულების მიზნით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;
2. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ.
3. მიზანშეწონილია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისმა პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;
4. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქცია.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.</p> <p>ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის № 518 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია. პროგრამას გარე ხარისხის შეფასების დროს ექსპერტებს შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაუფიქსირებიათ. წელიწადში ერთხელ ხორციელდებოდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის წლიური თვითშეფასების წარდგენა, რომელშიც აისახებოდა წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები. დაწესებულებას არ წარმოუდგენია ინფორმაცია გარდა ზემოხსენებულისა, პროგრამის დამატებითი გარე შეფასების განხორციელების თაობაზე.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p>

1. აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის № 518 გადაწყვეტილება
2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
3. ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**V** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების

ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს და აფასებს პროგრამის განხორციელების პროცესს. შეფასებაში მონაწილეობენ უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. გამოკითხვის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ადგენს გამოკითხვაში მონაწილე პირთა კატეგორიის საჭიროებებსა და მოლოდინებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში. ამასთან, გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ხორციელდება პროგრამის მოდიფიცირება. გარდა აღნიშნულისა, როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს პროცესში, პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირებმა განაცხადეს, სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში, წარმოდგენილი პროგრამა შედარდა უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებს.

როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდანაც დგინდება, პროგრამა, ასევე მისი შემადგენელი ცალკეული სასწავლო კომპონენტები პერიოდულად ფასდება სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულების მიერ. თუმცა ინტერვიუების შედეგად, ასევე გამოიკვეთა, რომ ამ შეფასებას აკლია სისტემატიური ხასიათი, რომლის განხორციელების პერიოდულობა განსაზღვრული იქნებოდა კონკრეტული მარეგულირებელი შიდა აქტით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს სჭირდება უკეთესად შემუშავებული პოლიტიკა, შესაბამისი აქტით გამყარებული განხორციელების პროცესი და მექანიზმები პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდული შეფასების მიზნით. აუცილებელია დაწესებულებაში არსებობდეს დოკუმენტი, რომლითაც მკაფიოდ იქნება დადგენილი პროგრამის, ასევე ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეფასებისა და განვითარების მიზნით, გამოკითხვებისა და შესაბამისი პირთა წრის კმაყოფილების კვლევის განხორციელების სიხშირე (ყოველი სემესტრისა თუ წლის ბოლოს), მექანიზმები (რომლებიც ხელმისაწვდომს გახდის შესაბამის კითხვარებს შესაბამისი კატეგორიის პირთა რაც შეიძლება ფართო წრისათვის), მისი განხორციელების სავალდებულო ხასიათი, განმახორციელებელი პასუხისმგებელი პი(ებ)ი, შეგროვებული მონაცემების დამუშავებისა და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნებისათვის გამოყენების პროცესი. საჭიროა, ამ პროცესს ჰქონდეს პერმანენტული ხასიათი და არ ხორციელდებოდეს მხოლოდ თვითშეფასების ანგარიშის მზადებისას. აუცილებელია, რომ ამ ყველაფრის თაობაზე ინფორმაცია მიეწოდოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ყველა პირს, ასევე პროგრამის მთავარ ბენეფიციარებს - სტუდენტებს. უნივერსიტეტმა უნდა შექმნას მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს, მონაწილეობა მიიღონ შეფასებაში, ხოლო თავად დაწესებულებას ექნება საშუალება მიიღოს მაქსიმალურად ობიექტური და რეალისტური სურათი გამოკითხულ პირთა საჭიროებებსა და მოლოდინებზე.

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 „სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ და 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შექმნის შესახებ“ არასაკმარისად აწესრიგებს ზემოთ მითითებული მიზნებისათვის საჭირო შინაარსობრივ და პროცესუალურ საკითხებს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა უნდა დახვეწოს და განავითაროს აღნიშნული პროცესი როგორც მომწესრიგებელი შიდა აქტების, ისე შემდგომ ამ აქტებით დამტკიცებული პროცედურების პრაქტიკაში განხორციელების გზით.

პროგრამის შეფასებასა და განვითარებაში ჩართულები არიან დამსაქმებლებიც. თუმცა მიზანშეწონილია, მათ ჩართულობას გააჩნდეს უფრო ინტენსიური ხასიათი. ამასთან, ინტერვიუს დროს დამსაქმებელთა მხრიდან გამოიკვეთა მზადყოფნა, რომ მუდმივად უზრუნველყონ დაწესებულებისათვის უკუკავშირის მიცემა პროგრამაში შემავალი ცალკეული სასწავლო კომპონენტის, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების თაობაზე, შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში. პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, ისინი გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ დაინტერესების შემთხვევაში, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მოეწყოს შეხვედრები, მსჯელობები, საჯარო ლექციები დასაქმების ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების, განახლებული მოთხოვნების, სწავლის სფეროს შესაბამისი ახალი ტენდენციების, სამუშაო მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების გაცნობის მიზნით.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება
2. დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ
3. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
4. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები

#### **რეკომენდაციები:**

1. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს;
2. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
3. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს;
4. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დამსაქმებელთა უფრო ინტენსიური ჩართულობა პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>სასურველია, პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, გაზიარებულ იქნეს დამსაქმებელთა მზადყოფნა, რომ დაინტერესების შემთხვევაში, დამსაქმებლები სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მოაწყობენ შეხვედრებს, მსჯელობებს, საჯარო ლექციებს დასაქმების ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების, განახლებული მოთხოვნების, სწავლის სფეროს შესაბამისი ახალი ტენდენციების, სამუშაო მეთოდებისა და თანამედროვე მიდგომების გაცნობის მიზნით.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> </ul>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		V		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)  
 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:  
 ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48\*

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		V		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		V		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		V		


აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სოფიო უგრეხელიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:


ნინო დონდოლაძე



ზურაბ მეგრელიშვილი



გიორგი რობაქიძე



ნინო ტალიკაძე

